წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი N8

ქ. წალკა; 06.03.26 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარი ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:10 საათზე;

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ".

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ".

ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები, დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი. საკრებულოს ფრაქციებმა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები არაუგვიანეს მ/წლის 13 მარტისა, ხოლო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, სოციალურ საკითხთა და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიებმა შესაბამისი დასკვენი წარმოადგინონ არაუგვიანეს მ/წლის 19 მარტისა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*